111. დ. / პოლიმერული ნანონაწილაკების - პოლიმერული მატრიცით კომპოზიციური მასალის მიღების პროცესი თხევადპოლიმერულ მასალასთან საწყისი მასალის ნანონაწილაკების შერევითა და შემდგომ (ნარევის) გამყარებით.

E polymer nanoparticle dispersion

R диспергирование наночастиц в жидкой полимерной матрице

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

112 დიფრაქცია; EBSD / ანარეკლი ელექტრონების - ელექტრონების უკუგა(ნ)ბნევის მოვლენა, რომელიც წარმოიქმნება ელექტრონების კონით ობიექტის დასხივებისას, ელექტრონებისა და ობიექტის კრისტალური გისოსის ატომური სიბრტყეების ურთიერთქმედები სშედეგად.

E electron backscatter diffraction

E EBSD

R дифракция отраженных электронов

R ДОЭ

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

113. დ. / ნეიტრონების - ნეიტრონების დრეკადი გა(ნ)ბნევის მოვლენა, რომელიც გამოიყენება ნივთიერების ატომური ან მაგნიტური სტრუქტურის კვლევის დროს.

E neutron diffraction

R дифракция нейтронов

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

114. დ. / რენტგენული გამოსხივების - რენტგენული გამოსხივების გა(ნ)ბნევის მოვლენა, ნივთიერების ელექტრონებთან ურთიერთქმედების შედეგად. იგი საფუძვლად უდევს რენტგენოსტრუქტურულ ანალიზს, რომლის დროს ფორმირებული დიფრაქციული სურათი იძლევა ინფორმაციას საკვლევი ობიექტის სტრუქტურის შესახებ.

E X-ray diffraction

R дифракция рентгеновского излучения

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

115. ელემენტი (უჯრედი) / ნანომავთულიანი ფოტოელექტრული - ფოტოელექტრული მოწყობილობის ძირითადი კომპონენტი (უჯრედი), რომელიც შედგება ფუძემშრის ზედაპირზე ამოზრდილი ან დალექვით მიღებული, ზევით მიმართული ნანომავთულებისგან, რომლებიც ზრდიან კომპონენტის ზედაპირის ფართობს და მის შესაძლებლობას შთანთქოს უფრო მეტი რაოდენობის მზის სხივური ენერგია.

E nanowire photovoltaic cell

R нанопроволочный фотоэлектрический элемент

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

116. ე. (უჯრედი) / პლაზმონური ფოტოელექტრული - ფოტოელექტრული უჯრედი მოცემული ოპტიკური მახასიათებლებით, რომელიც მიიღება ლითონის ნანონაწილაკების შეტანით მის ნახევარგამტარ შრეში.

E plasmonic photovoltaic cell

R плазмонный фотоэлектрический элемент

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

117. ე. (უჯრედი) / ქვანურ ორმოებზე დაფუძნებული ფოტო-ელექტრული - ფოტოელექტრული ელემენტი, რომელშიც ფოტოელექტრული ეფექტი წარმოიქმნება ნახევარგამტარში არსებული კვანტური ორმოების გამო.

E quantum well photovoltaic cell

R фотоэлектрический элемент на основе квантовых ям

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

118. ე. (უჯრედი); DSSC / შუქმგრძობიარე ფოტოელექტრული - მოწყობილობის ძირითადი კომპონენტი (უჯრედი), რომელიც მოიცავს ფოტოქიმიურ სისტემას - შედგება შუქმგრძობიარე ანოდისა და ელექტროლიტისგან, რომელიც მზის სხივურ ენერგიას ელექტრულ ენერგიად გარდაქმნის.

E dye-sensitized photovoltaic cell

E DSSC

R цветочувствительный фотоэлектрический элемент

R Цფფფ

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

119. ელექტროგაფრქვევა - ფუძეშრეზე დალექილი მყარი მასალის მიღების პროცესი ძაბვამოდებული საქშენის მეშვეობით საწყისი მასალის დისპერსირების შედეგად.

E electro-spray

R электрораспыление

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

120. ელექტროდალექვა; ელექტროდაფარვა - დანაფარის მიღების პროცესი მასალის იონების დალექვით ელექტროდის ზედაპირზე სპეციალურ ხსნარში ელექტროქიმიური ალდგენის რეაქციის შედეგად.

E electrodeposition

E electroplating

R электроосаждение

R электролитическое осаждение

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

121. ელექტრომეტრი; FCAE / ფარადეის ცილინდრიანი აეროზოლური - აეროზოლური ნაწილაკების ელექტრომუხტის გასაზომი მოწყობილობა.

E Faraday-cup aerosol electrometer

E FCAE

R электрометр с цилиндром Фарадея

R ЭЦФ:

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

122. ელექტრო(და)რთვა - საწყისი თხევადი მასალიდან ბოჭკოების გამოჭიმვის (გამოწევის) პროცესი ელექტრული ველის ძალების მოქმედებით.

E electrospinning

R электропрядение

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

123. ელექტრონიკა / მოლეკულური - ელექტრონიკის განყოფილება (მიმართულება), რომელიც შეისწავლის ელექტონული მოწყობილობების დაპროექტებისა და წარმოების (დამზადების) მეთოდებს და კომპონენტებად მოლეკულებს იყენებს.

E molecular electronics

R молекулярная электроника

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

124. ე.; OE; პოლიმერული ელექტრონიკა; პლასტმასის ელექტრონიკა / ორგანული - ელექტრონიკის განყოფილება (მიმართულება), რომელიც სწავლობს ფუნქციური ელექტრონული მოწყობილობების დაპროექტებისა და დამზადების მეთოდებს, რომელთა პასიური და აქტიური კომპონენტები მზადდება ორგანული მასალებისგან.

E organic electronics

E OE

E polymer electronics

E plastics electronics

R органическая электроника

R OЭ

R полимерная электроника

R пластиковая электроника

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

125. ეპიტაქსია / მოლეკულურ-სხივური - მონოკრისტალური ფირის მიღების პროცესი. მაღალი ან ზემოდალი ვაკუუმის პირობებში საწყისი მასალის (მასალების) ატომების ან მოლეკულების აორთქლებისა და შემდგომი დალექვით მონოკრისტალურ ფუძემდრეზე.

E molecular beam epitaxy

R молекулярно-лучевая эпитаксия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

126. ეფექტი / ნანოზომის - ეფექტი, რომელსაც ნანოობიექტები ან ნანოსკალის ინტერვალის შესაბამისი ზომების უბნები იწვევს.

E nanoscale phenomenon

R наноразмерный эффект

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

127. ეფექტი / რამანის - მონოენერგეტიკული მაიონებელი გამოსხივებით დასხივებული ნივთიერების მოლეკულაზე ოპტიკური გამოსხივების არადრეკადი გა(ნ)ბნევის მოვლენა, რომელსაც თანახლავს გა(ნ)ბნეული მოლეკულების გადასვლა სხვა მერხევ და ბრუნვით ენერგეტიკულ დონეებზე.

E Raman effect

R комбинационное рассеяние света

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

128. ვექტორი / SWCNT-ის ხირალობის (შეუსაბამობის) - პირობითი ვექტორული აღნიშვნა, რომელიც გამოიყენება ერთკედლიანი ნახშირბადის ნანომილაკების სპირალური სტრუქტურის აღსაწერად.

E chiral vector of SWCNT

R вектор хиральности ОУНТ

შენიშვნა - ხირალობა ეწოდება მოლეკულის თვისებას არ დაემთხვეს თავის სარკისებურ გამოსახულებას.

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

129. ზომა / ნაწილაკების - ნაწილაკის ხაზოვანი განზომილება, მოცემულ პირობებში შესაბამისი მეთოდითა და გაზომვის საშუალებებით განსაზღვრული.

E particle size

R размер частицы

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

130. თანადალექვა - ორი ან მეტი საწყისი მასალის ერთდროულად დალექვა (თანადალექვის ძირითადი მეთოდებია: ვაკუუმური დაფრქვევა, თერმული დაფრქვევა, ელექტროდალექვა და სუსპენზიის მყარი ნაწილაკების დალექვა.).

E co-deposition

R соосаждение

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

131. თანაფარდობა / ასპექტური - ნაწილაკის სიგრძის ფარდობა მის სიგანესთან.

E aspect ratio

R аспектное соотношение

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

132. თერმოგრაფიმეტრია; TG - ნივთიერების მასის გაზომვის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია, მოცემულ არეში რეგულირებადი სიჩქარით გახურებისას, საწყისი მასის ტემპერატურაზე

ან დროზე დამოკიდებული ცვლილების ჩაწერაზე (გაზომვების რეგისტრაციაზე).

E thermogravimetry

E TG

R термогравиметрия

R TT

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

133. თვითაწყობა - ობიექტის სტრუქტურის ფორმირების ავტონომიური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ობიექტის თავდაპირველი სტრუქტურის კომპონენტების ურთიერთქმედებისას.

E self-assembly

R самосборка

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

134. თვითაწყობა / მიმართული - გარედან მართული (კონტროლირებადი) ზემოქმედებებით მოცემული შაბლონის (თარგის) შესაბამისად მიმდინარე თვითაწყობის პროცესი.

E directed self-assembly

R направленная самосборка

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

135. თ.; SAM ფორმირება / მონოშრის - თხევადი ან აირული ფაზიდან მყარ ფუძეშრეზე დალექილი ნივთიერების მოწესრიგებული მოლეკულური შრის წარმოქმნის პროცესი, ფუძეშრესთან მოლეკულური შეჭიდულობის ძალებისა და მოლეკულათშორისი ურთიერთქმედების სუსტი ძალების ზემოქმედებით.

E self-assembled monolayer formation

E SAM formation

R самосборка монослоя

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

136. თვისება / ნანოზომის - ნანობიექტის ან ნანოსკალის ინტერვალის შესაბამისი ზომების მქონე უზნის მახასიათებელი.

E nanoscale property

R свойство / наноразмерное

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

137. იმპლანტაცია / იონური - ობიექტის ზედაპირის თვისებების ცვლილების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს იონური კონის ზემოქმედებით მისი რღვევისას ან გადაკრისტალებისას.

E ion implantation

R ионная имплантация

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

138. ინტერკალირება - ერთი ნივთიერების ატომების ან მოლეკულების მეორე ნივთიერების კრისტალურ სტრუქტურაში ჩაშენების შექცევადი პროცესი.

E intercalation

R интеркалирование

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

139. ინტერფერომეტრია; DPI / ორმაგი პოლარიზაციის - ინტერფერომეტრის ბოჭკოს (შუქსატარის) ზედაპირზე ადსორბირებული ნივთიერების ფენების მოლეკულურ დონეზე შესწავლის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ლაზერული სხივის ტალღების შესუსტების ხარისხზე პოლარიზაციის მიმართულებების შეცვლისას.

E dual polarization interferometry

R DPI

R интерферометрия двойной поляризации

R ИДП

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

140. კალორიმეტრია; DSC / დიფერენციალურ-მასკანირებელი - ნივთიერების მახასიათებლების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც, ტემპერატურის ან დროის მიხედვით, დაფუძნებულია საკვლევ და ეტალონად გამოყენებულ ნივთიერებებს შორის ტემპე-

რატურის გასათანაბრებლად აუცილებელი ენერჯის რეგისტრაციაზე.

E differential scanning calorimetry

E DSC

R дифференциально-сканирующая калориметрия

R ДСК

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

141. კაფსულა / ნანოსტრუქტურირებული - ნივთიერების განსათავსებლად, დასაცავად, გადასატანად ან მისგან გამოსაღებად განკუთვნილი 1-იდან 100 ნმ-ამდე სისქის გარსის მქონე კაფსულა.

E nanostructured capsule

R наноструктурированная капсула

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

142. კილიტა - თანაბარი სისქის ფირი, რომელსაც არ აქვს ფუძე-შრე.

E foil

R фольга

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

143. კლასიფიკატორი; DEMC / ნაწილაკების დიფერენციალური ელექტრული ძვრადობის - მოწყობილობა, რომელიც ავრცელებს აეროზოლის ნაწილაკებს ზომების მიხედვით მათი ელექტრული ძვრადობის შესაბამისად და აღრიცხავს მხოლოდ გარკვეული ზომის ნაწილაკებს.

E differential electrical mobility classifier

E DEMC

R классификатор дифференциальной электрической подвижности частиц

R КДЭП

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

144. კონდენსაცია / არაორგანული მასალების სწრაფი - საწყისი მეტალორგანული მასალისგან ატომურად გლუვი და მკვრივი ფირის მიღების პროცესი ცენტრიდანული დალექვის მეთოდით და შემდგომი გამაგრება ფუძემშრეზე მოცემულ ტემპერატურაზე.
E prompt inorganic condensation

R быстрая конденсация неорганических материалов

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

145. კონტაქტი; ნანოკონტაქტი / ნანოგანზომილების ელექტრული - ორი ან მეტი ობიექტის ელექტრული კონტაქტი კონტაქტირების ზონით, რომლის ზომებიც ერთი ან ორი განზომილებით ნანოსკალის ინტერვალშია.

E nanoscale electric contact

E nanoscale contact

R наноразмерный электрический контакт

R наноконтакт

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

146. კორონა / ცილის - ბიოლოგიურ გარემოში (არეში) მყოფი ნანობიექტების ზედაპირზე ადსორბირებული ბიომოლეკულები.

E protein corona

R белковая корона

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

147. კრისტალიზაცია / კოლოიდური - ხსნარიდან ნანონაწილაკების სედიმენტაციისას წარმოქმნილი მყარი ნალექიდან ნივთიერების მიღების პროცესი, რომელიც შედგება მოწესრიგებულ პერიოდულ სივრცულ სტრუქტურებში ერთმანეთის მიმართ მჭიდროდ განთავსებული ელემენტებისგან.

E colloidal crystallization

R коллоидная кристаллизация

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

148. ლითოგრაფია - ობიექტის სტრუქტურის ან რელიეფური გამოსახულების ფორმირების პროცესი ფუძემდებზე მოცემული შაბლონის (ნიმუშის) აღწარმოებით (რეპროდუცირებით).

E lithography

R литография

შენიშვნა: შაბლონი მზადდება გამოსხივებისადმი მგრძობიარე მასალისგან და საჭირო სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად იგი გაადაქვთ ფუძემდებზე კონტაქტური ბეჭდვით ან პირდაპირი ჩაწერით.

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

149. ლ. / ბლოკ-თანაპოლიმერული - რელიეფური გამოსახულების ფორმირების პროცესი მასალის ნანონაწილაკებისგან, რომელიც რჩება ფუძემდებზე, დიბლოკ-თანაპოლიმერების მიკროფაზური განშრევების შედეგად მიღებული პოლიმერული შაბლონის მოცილების შემდეგ.

E block copolymer lithography

R блок-сополимерная литография

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

150. ლ. / ბუნებრივი - ობიექტის სტრუქტურის ელემენტების ან რელიეფური გამოსახულების ფორმირების პროცესი ბუნებაში წარმოქმნილი შაბლონის აღწარმოებით.

E natural lithography

R естественная литография

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

151. ლ. / ელექტრონულ-სხივური - დაფოკუსებული ელექტრონული კონით რეზისტის (ფოტორეზისტის) შრეში მოცემული შაბლონის შესატყვისი რელიეფური გამოსახულების აღწარმოების პროცესი.

E electron-beam lithography

R электронно-лучевая литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

152. ლ. / იმერსიულ-ოპტიკური - ამაღლებული გარჩევადობის ლითოგრაფია, რომელიც მიიღება მიკროსკოპის ობიექტივის უკანასკნელ ლინზასა და ფოტორეზისტის (ფოტორეზისტენტულ) ფირს შორის არსებული ჰაერის შუალედური სივრცის, შესაბამისი გარდატეხის მაჩვენებლის მქონე, სითხით შევსებისას.

E immersion optics

R иммерсионная оптическая литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

153. ლ. / ინტერფერენციული - ნანოსკალის ინტერვალის შესატყვისი ზომების რელიეფური გამოსახულების ფორმირების პროცესი, დასხივებული რეზისტის შესაბამისი დამუშავებით, რომლის ზედაპირზეც დიფრაქციული მესრების დახმარებით ინტერფერენციული სურათი მიიღება.

E interference lithography

R интерференционная литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

154. ლ. / იონურ-პროექციული - აჩქარებული იონური კონით რეზისტის შრეში მოცემული შაბლონის შესაბამისი ნანოსკალის ინტერვალის შესატყვისი ზომების რელიეფური გამოსახულების მიღების პროცესი.

E ion projection lithography

R ионно-проекционная литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

155. ლ.; FIB / ფოკუსირებული იონურ-სხივური - დაფოკუსებული იონური კონით რეზისტის შრეში მოცემული შაბლონის შესატყვისი რელიეფური გამოსახულების აღწარმოების პროცესი.

E focused ion-beam lithography

E FIB

R ионно-лучевая литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

156. ლ. / კოლოიდურ -კრისტალური შაბლონით - მოცემული ობიექტის ფორმირების პროცესი დალექვის ან ამოჭმის მეთოდით შაბლონის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს კოლოიდური კრისტალის ნაწილაკების ორგანოზომილებიან (2D) ან სამგანზომილებიან (3D) სტრუქტურას.

E colloidal crystal template lithography

R литография с коллоидно-кристаллическим шаблоном

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

157. ლ.; NIL / ნანოანაბეჭდური - მოცემული სურათის, რომლის ელემენტების ზომები ნანოსკალის ინტერვალშია, რელიეფური გამოსახულების მიღების პროცესი. შაბლონის (ჩვეულებრივ - კლიშე, შტამპი, ნიღაბი ან ტრაფარეტი) ფუძეშრის დამფარავი რეზისტის შრეში ჩაწნევისა და შემდგომ მისი გამყარებით მოცემულ ტემპერატურაზე ან სინათლის გამოსხივების ზემოქმედებით.

E nano-imprint lithography

E NIL

R нанопечатная литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

158. ლ. / პლაზმონური - ნანოსკალის ინტერვალის შესაბამისი ზომების რელიეფური გამოსახულების მიღების პროცესი, რომლის დროსაც ფუძეშრის დამფარავი ფოტორეზისტის შაბლონის (რომელიც წარმოადგენს ლითონურ პლაზმონურ ლინზას) გავლით ოპტიკური გამოსხივებით დასხივება უზრუნველყოფს ფოტორეზისტში ცვლილებების გამომწვევს ახლოველიან აგზნებას.

E plasmonic lithography

R плазмонная литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

159. ლ. / რბილი - რბილი მასალებისგან (მაგ., ელასტომერული მასალებისგან) დამზადებული შაბლონით ფუძემშრეზე ანაბეჭდის დატანისა და გამოსახულების მიღების პროცესი.

E soft lithography

R мягкая литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

160. ლ. / რენტგენული - ფოტორეზისტის შრეში რელიეფური გამოსახულების ფორმირების პროცესი, მოცემული შაბლონის აღწარმოებით (რეპროდუცირებით) რენტგენის გამოსხივებით.

E x-ray lithography

R рентгеновская литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

161. ლ.; 3D ლითოგრაფია / სამგანზომილებიანი - მოცემული შაბლონის ფუძემშრეზე აღბეჭდვით ობიექტის სტრუქტურის ფორმირების პროცესი, რომლის ან მისი შემადგენელი ნაწილების ხაზოვანი ზომები ერთი, ორი ან სამივე განზომილებით ნანოსკალის ინტერვალშია.

E 3D lithography

R трехмерная литография

R 3D-литография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

162. ლუმინესცენცია - გარე ან შინაგანი წარმოშობის ენერჯიის ზემოქმედებით, არაწონასწორულ (აგზნებულ) მდგომარეობაში მყოფი ნივთიერების ატომების მოლეკულების ან იონების გამოსხივება, რომელიც სხეულის სითბურ გამოსხივებაზე ჭარბი რაოდენობისაა და გრძელდება დროში, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება სინათლის რხევის პერიოდს.

E luminescence

R люминесценция

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

163. მაკროელექტრონიკა; OLAE / ორგანული - ორგანული ელექტონიკის ქვედანაყოფი, რომელიც შეისწავლის 1 მმ-ზე მნიშვნელოვნად მეტი ზომის ელექტრონული მოწყობილობების დაპროექტებისა და დამზადების მეთოდებს.

E organic and large area electronics

E OLAE

R органическая макроэлектроника

R OMЭ

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

164. მასალა; ნანოკომპოზიტი / ნანოკომპოზიციური - მყარი ნივთიერება, რომელიც შედგება ორი ან მეტი განცალკავებული ფაზისგან და რომელთაგან ერთი ან მეტი ნანოფაზაა.

E nanocomposite

R материал / нанокomпозиционный

R нанокomпозит

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

165. მ. კერამიკული მატრიცით; ნანოკომპოზიტი კერამიკული მატრიცით / ნანოკომპოზიციური - ერთი ან მეტი ძირითადი კერამიკული ფაზის შემცველი ნანოკომპოზიციური მასალა.

E ceramic matrix nanocomposite

R материал нанокomпозиционный с керамической матрицей

R нанокomпозит с керамической матрицей

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

166. მ. ლითონური მატრიცით; ნანოკომპოზიტი ლითონური მატრიცით / ნანოკომპოზიციური - ერთი ან მეტი ძირითადი ლითონური ფაზის შემცველი ნანოკომპოზიციური მასალა.

E metal matrix nanocomposite

R материал нанокomпозиционный с металлической матрицей

R нанокomпозит с металлической матрицей

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

167. მ. პოლიმერული მატრიცით; ნანოკომპოზიტი პოლიმერული მატრიცით / ნანოკომპოზიციური - ერთი ან მეტი ძირითადი პოლიმერული ფაზის შემცველი ნანოკომპოზიციური მასალა.

E polymer matrix nanocomposite

R материал нанокмпозиционный с полимерной матрицей

R нанокомпозит с полимерной матрицей:

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

168. მ. თიხით არმირებული პოლიმერული მატრიცით; ნანოკომპოზიტი თიხით არმირებული პოლიმერული მატრიცით / ნანოკომპოზიციური - ნანოკომპოზიციური მასალა პოლიმერული მატრიცით, რომელიც შეიცავს თიხის ნანოსტრუქტურირებულ ფაზას.

E polymer clay nanocomposite

R нанокмпозиционный материал с полимерной матрицей, армированный глиной

R нанокомпозит с полимерной матрицей, армированный глиной

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

169. მ. / ნანოსტრუქტურირებული - მასალა, რომელსაც აქვს შინაგანი ან ზედაპირული ნანოსტრუქტურა.

A nanostructured material

R материал /наноструктурированный

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

170. მ. / ნანოფორიანი (ნანოფორული, ნანოფოროვანი) – მყარი მასალა ნანოფორებით

E nanoporous material

R нанопористый материал

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

171. მას-სპექტრომეტრია; ICP-MS / ინდუქციურად შეკრული პლაზმით - ობიექტის კვლევის მეთოდი მას-სპექტრომეტრით, რომელიც დაფუძნებულია ობიექტის მიერ გამოფრქვეული ცალკეული იონებისა და მათი ნაკადების რეგისტრაციაზე, აეროზოლის სახით გატარებული ინდუქციურად შეკრული არგონის პლაზმაში, რომელიც წარმოიქმნება სპეციალური სანთურით და გადის მაღალი სიხშირის იდუქციურობის კოჭში (ინდუქტორში).

E inductively coupled plasma mass spectrometry

E ICP-MS

R масс-спектрометрия с индуктивно связанной плазмой

R ИСП-МС

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

172. მ.; SIMS / მეორეული იონების - ობიექტის კვლევის მეთოდი მას-სპექტრომეტრით, რომელიც ეფუძნება, სივრცეში და/ან დროში განაწილებული ობიექტის მეორეული იონების ერთობლივ რეგისტრაციას, რომლებიც დაყოფილი არიან იონის მასის მის მუხტთან ფარდობის მნიშვნელობების მიხედვით და აღძრულია ობიექტის ზედაპირის დაბომბვით პირველადი იონების ნაკადით.

E secondary-ion mass spectrometry

E SIMS

R масс-спектрометрия вторичных ионов

R МСВИ

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

173. მეთოდი; BET მეთოდი / ბრუნაუერის, ემეტისა და ტელერის - დისპერსული ფხვნილებისა და / ან ფორიანი მყარი სხეულების საერთო (შინაგანი და გარეგანი) ზედაპირის კუთრი ფართობის განსაზღვრის მეთოდი ადსორბირებული აირის რაოდენობის ექსპერიმენტულად მიღებული მონაცემებით და გამოთვლით ბრუნაუერის, ემეტისა და ტელერის მიერ გამოყვანილი ფორმულით.

E Brunauer - Emmett - Teller Method

E BET method

R метод Брунауэра, Эммета и Теллера

R метод БЭТ

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

174. მ.; კოულტერის მრიცხველი / ელექტრომგრძობიარე ზონის - ელექტროლიტურ ხსნარში ნაწილაკების ზომების მიხედვით განაწილებისა და ნაწილაკების ზომების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც ეფუძნება გაუმტარი (არადენგამტარი) ტიხრის (ამპულის კედელის) მცირე დიამეტრის ნახვრეტში ნაწილაკების გავლისას წარმოქმნილი ელექტროლიტური ძაბვის იმპულსის გაზომვას.

E electrical zone sensing

E Coulter counter

R метод электрочувствительной зоны

R метод Коултера:

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

175. მემბრანა - ტიხარი, რომლის განივი ზომები მნიშვნელოვნად მეტია მის სისქეზე, ისეთი სტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფს გაყოფილი ფაზების კომპონენტების სელექციურ გადატანას მამოძრავებელი ძალების მოქმედებით.

E membrane

R мембрана

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

176. მ. / ნანოფორვანი - მემბრანა, რომელსაც აქვს ურთიერთდაკავშირებული ღია ნანოფორები (არხები); ნანოფორებიანი მემბრანა, რომელიც ნივთიერებას ატარებს თხევად ან აირულ მდგომარეობაში.

E nanoporous membrane

R нанопористая мембрана

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

177. მეტალფულერენი - ენდოედრალური ფულერენი, რომელიც შეიცავს მეტალების ერთ ან რამდენიმე იონს.

E metallofullerene

R металлофуллерен

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

178. მექანიზმი; ფირის „შრედაშრე + კუნძულოვანი“ ზრდის მექანიზმი / სტრანსკი-კრასტანოვას ფირის ზრდის - ფუძემდებელი ფირის ფორმირების პროცესი, რომელიც იწყება ორგანოზომილებიანი შრის წარმოქმნით და მთავრდება მასზე ურთიერთდაკავშირებული ატომების (კუნძულების) ჯგუფების ფორმირებით.

E Stranski — Krastanow growth

R механизм роста пленки Странского-Крастанова

R механизм "последнего-плюс-островкового" роста пленки

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

179. მიკროდამუშავება / დიდჩქარული - დიდჩქარული (როგორც წესი, 30 000 ბრ/წთ-იდან 100 000 ბრ/წთ-ამდე) მიკროდამუშავება ორ- და სამგანზომილებიანი ზუსტი ნამზადების შესაქმნელად მოცულობითი საგნიდან ან მასალის ზედაპირიდან, განსაზღვრული გეომეტრიის საჭრელი ხელსაწყოებით.

E high-speed micromachining

R высокоскоростная микрообработка

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

180. მიკროსასწორი; QCM /კვარცის კრისტალური - საზომი მოწყობილობა, რომელშიც კვარცის კრისტალური რეზონატორის (მიკროსასწორის გადამწოდის) სიხშირის ცვლილება იზომება მასის ცვლილების დასადგენად.

E quartz crystal microbalance;

E QCM

R метод пьезоэлектрического микровзвешивания

R MПM

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

181. მიკროსკოპია; AFM / ატომურ-ძალური (მოძვ. ტერმინები - მასკანირებელი ძალური მიკროსკოპია; SFM) - მიკროსკოპით ობიექტის კვლევის მეთოდი, რომლის დროსაც ობიექტის გამოსახულების ფორმირება ხდება სკანირების (გაშლის) პროცესში ზონდის გადამწოდის (კანტილევერის) ობიექტის ზედაპირთან ურთიერთქმედების ძალის რეგისტრაციის შედეგად.

E atomic force microscopy

E AFM

E scanning force microscopy (deprecated)

E SFM (deprecated)

атомно-силовая микроскопия

R ACM

ССM (Устарело: сканирующая силовая микроскопия)

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

182. მ.; NSOM; ახლოველის სკანირების ოპტიკური მიკროსკოპია; SNOM /ახლოველის ოპტიკური მასკანირებელი - სინათლის მიკროსკოპით ობიექტის კვლევის მეთოდი, რომლის დროსაც გამოსახულების ფორმირება ხდება ელექტრომაგნიტური ველის ურთიერთქმედების რეგისტრაციით ობიექტსა და მისი ზედაპირის მასკანირებელი ოპტიკური ზონდის წვეროს (რომლის რადიუსი ნაკლებია გამოსხივებული სინათლის ტალღაზე) შორის.

E near-field scanning optical microscopy

E NSOM

E scanning near-field optical microscopy

E SNOM

R сканирующая оптическая микроскопия ближнего поля

R СОМБП

R ближнепольная сканирующая оптическая микроскопия

R БСОМ

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

183. მ. გამოსახულების კონტრასტის გაძლიერებით; SEEC / ელიფსომეტრული - ობიექტის კვლევის მეთოდი, ფართოკუთხიანი ოპტიკური სისტემის სინათლის მიკროსკოპით, იგი გამოსახულების ფორმირებას ახდენს ობიექტის გამოსახულების კონტრასტის გამაძლიერებელი გადაჯვარედინებული პოლარიზატორებით, რომლებიც აფიქსირებენ ობიექტიდან არეკლილ სინათლის სხივებს, ხოლო ფუძემშრიდან ან სასაგნე მინიდან არეკლილ სხივებს ბლოკავენ.

E surface enhanced ellipsometric contrast microscopy

E SEEC microscopy

R эллипсометрическая микроскопия с усилением контраста изображения

R ЭМУК

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

184. მ.; TEM / გამჭოლავი ელექტრონული - ობიექტის კვლევის მიკროსკოპული მეთოდი, რომლის დროსაც ობიექტის ან მისი დიფრაქციული სურათის გამოსახულების ფორმირება ხდება ობიექტში გამჭოლად გამავალი და მასთან ურთიერთმოქმედი დაფოკუსებული ელექტრონული კონით (ელექტრონული ზონდით).

E transmission electron microscopy

E TEM

R просвечивающая электронная микроскопия

R ПЭМ

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

185. მ.; STEM / გამჭოლავი (გამჭვირავი) მასკანირებელი ელექტრონული - ობიექტის კვლევის მიკროსკოპული მეთოდი, რომლის დროსაც ობიექტის ან მისი დიფრაქციული სურათის გამოსახულების ფორმირება ხდება ობიექტში გამჭოლად გამავალი

და მასთან ურთიერთმოქმედი დაფოკუსებული ელექტრონული კონით (ელექტრონული ზონდით).

E scanning transmission electron microscopy

E STEM

R просвечивающая растровая электронная микроскопия

R ПРЭМ

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

186. მ.; LEEM / დაბალი ენერჯის (ნელი) ელექტრონების ობიექტის კვლევის მიკროსკოპული მეთოდი, რომლის დროსაც ობიექტის გამოსახულებას ან მის დიფრაქციულ სურათს აყალიბებს დრეკადად არეკლილი დაბალი ენერჯის ელექტრონები, რომლებიც წარმოიქმნებიან (გენერირდებიან) ელექტრონული კონით ობიექტის ზედაპირის სკანირების გარეშე.

E low energy electron microscopy

E LEEM

R микроскопия медленных электронов

R ММЭ

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

187. მ. / ზემალაღი გარჩევადობის - ობიექტის მიკროსკოპით კვლევის მეთოდი, რომელიც აყალიბებს მის გამოსახულებას დიფრაქციულ ზღვარზე უფრო მეტი სივრცითი გარჩევადობით.

E super-resolution microscopy

R микроскопия сверхвысокого разрешения

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

188. მ. / ლოკალიზაციის (ფლუორესცენციური მოლეკულების) - ზემალაღი გარჩევადობის მიკროსკოპიის სახე, რომლის დროსაც ობიექტის გამოსახულება რეკონსტრუირდება მასში ფლუორესცენტური მოლეკულების (ფლუოროფორების) განაწილების შესახებ მაღალი სიზუსტით რეგისტრირებული და შენახული ინფორმაციის მიხედვით.

E localization microscopy

R микроскопия локализованных флуоресцентных молекул
= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

189. მ.; SEM / მასკანირებელი ელექტრონული - ობიექტის სტრუქტურის, შედგენილობისა და ფორმის მიკროსკოპული კვლევის მეთოდი, რომლის დროსაც ობიექტის გამოსახულება ფორმირდება ობიექტის ზედაპირის სკანირებისას ელექტრონული ზონდით (ელექტრონული კონით) და ელექტრონული ზონდით ინდუცირებული მახასიათებელი მეორეული პროცესების რეგისტრაციით (მაგალითად, მეორეული ემისია, ელექტრონების უკუგაბნევა და რენტგენული გამოსხივება).

E scanning electron microscopy

E SEM

R сканирующая электронная микроскопия

R СЭМ

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

190. მ.; SPM / მასკანირებელი ზონდური - ობიექტის მიკროსკოპული კვლევის მეთოდი, რომლის დროსაც ობიექტის გამოსახულება ფორმირდება ზონდის მექანიკური გადაადგილებით და ზონდსა და ობიექტის ზედაპირს შორის ურთიერობის რეგისტრაციით.

E scanning probe microscopy

E SPM

R сканирующая зондовая микроскопия

R СЗМ

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

191. მ. / მასკანირებელი იონური - ობიექტის კვლევის მიკროსკოპული მეთოდი, რომლის დროსაც ობიექტის გამოსახულება ფორმირდება ობიექტის ზედაპირის სკანირებისას 0.1-იდან 1.0 ნმ-ამდე დიამეტრის დაფოკუსებული იონური კონით.

E scanning ion microscopy

R растровая ионная микроскопия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

192. მ.; STM / მასკანირებელი ტუნელური - ობიექტის ზედაპირის რელიეფის კვლევა მასკანირებელი ზონდური მიკროსკოპით, რომელიც გამოსახულებას აყალიბებს მუხტის მატარებელ დენგამტარ საკვლევ ობიექტსა და მისი ზედაპირის მასკანირებელ ზონდს შორის შუალედში ტუნელირების შესახებ მონაცემების რეგისტრაციით.

E scanning tunnelling microscopy

E STM

R сканирующая туннельная микроскопия

R STM

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

193. მ. / ოპტიკური კონფოკალური - ობიექტის კვლევის მეთოდი სინათლის მიკროსკოპით, რომელსაც ფოკალური სიბრტყის წინ განთავსებული მცირე ნახვრეტის დიფრაგმა აქვს. იგი საშუალებას იძლევა დაარეგისტრიროს მხოლოდ სინათლის ის სხივები, რომლებიც გამოდის ობიექტის საანალიზო წერტილიდან და ბლოკავს სინათლის სხივებს სხვა წერტილებიდან.

E confocal optical microscopy

R конфокальная световая микроскопия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

194. მ.; TIRF მიკროსკოპია / სრული შინაგანი არეკვლის ფლუორესცენციური - ობიექტის კვლევის მეთოდი ოპტიკური მიკროსკოპით, რომელშიც ობიექტის გამოსახულება ფორმირდება გარდატეხის სხვადასხვა მაჩვენებლის მქონე ორი არის გამყოფ თხელ სასაზღვრო შრეში აგზნებული მილევადი ტალღით გამოსხივებული ფლუორესცენციის რეგისტრირებით

E total internal reflection fluorescence microscopy

E TIRF microscopy

R флуоресцентная микроскопия полного внутреннего отражения

R ФМПВО

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

195. მ. / ფლუორესცენციური - ობიექტის კვლევის მეთოდი სინათლის მიკროსკოპით, რომელიც ობიექტის გამოსახულებას ემნის მის მიერ გამოსხივებული ფლუორესცენტის რეგისტრირებით.

E fluorescence microscopy

R флуоресцентная микроскопия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

196. მოდიფიცირება / ზედაპირის იონურ-სხიური - აჩქარებული იონების კონით ობიექტის ზედაპირის ცვლილების პროცესი. რომლის მიზანია მასზე არაერთგვაროვნების, მათ შორის, ნანოსკალის ინტერვალის შესაბამისი ზომებისა წარმოქმნაც.

E ion beam surface reconstruction

R ионно-лучевое модифицирование поверхности

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

197. მოწყობილობა - მოცემული ფუნქციის შესასრულებლად მატერიალური ელემენტი ან ასეთი ელემენტების კრებული.

E device

R устройство

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

198. მ. / ნანოტექნოლოგიური - მოწყობილობა, რომელიც შედგება მატერიალური ელემენტისგან ან ასეთი ელემენტების ნაკრებისგან, რომელთა უნიკალური საექსპლუატაციო და ფუნქციური მახასიათებლები მიღებულია ნანოტექნოლოგიის გამოყენებით.

E nano-enabled device

R нанотехнологическое устройство

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

199. მ.; OPV / ორგანული ფოტოელექტრონული - ფოტოელექტრონული მოწყობილობა, რომელშიც მზის სხივური ენერგია ელექტრულ ენერგიად გარდაიქმნება ორგანულ მასალებში.

E organic photovoltaic device

E OPV

R органическое фотоэлектрическое устройство

R ОФЭУ

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

200. მრიცხველი; CPC / კონდენსირებული ნაწილაკების - მოწყობილობა, რომელიც ზომავს ნაწილაკების რიცხვით რაოდენობას (კონცენტრაციას) აეროზოლში (კონდენსაციის ეფექტის გამოყენებით აეროზოლის ნაწილაკების ზომის გასაზრდელად).

E condensation particle counter

R CPC

R счетчик конденсированных частиц

R СКЧ

შენიშვნა: ზოგიერთ შემთხვევაში, კონდენსაციის ნაწილაკების მრიცხველს შეიძლება ეწოდოს "კონდენსაციის ბირთვის მრიცხველი (CNC)".

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

201. ნანოაეროზოლი - დენადი ნანოდისპერსული სისტემა აირისებრი მატრიცით, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ თხევად ან მყარ ნანოფაზას (ნანოობიექტების ჩათვლით).

E nano-aerosol

R наноаэрозоль

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

202. ნანოარხი - გაჭიმული ნანოჩაღრმავება ან ღია ნანოფორი

E nanopore

R наноканал

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

203. ნანობარათი (ნანოჩიპი) / მეხსიერების - მოწყობილობა, რომლის მატრიცის ზედაპირზეც მოწესრიგებულადაა განთავსებული ნანობიექტები ან ნანოსკალის ინტერვალში ფუნქციური და ტოპოგრაფიული თავისებურობის მქონე ობიექტები.

E nanoarray

R наночип

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

204. ნანობიოკონიუგატი - ჰიბრიდული ნაწილაკი, რომელიც შედგება ნანომასალაზე მიმაგრებული ბიოლოგიური მოლეკულისგან.

შენიშვნა: კონიუგატი – კოვალენტურად დაკავშირებული რამდენიმე მოლეკულის კომპლექსი.

E nanobioconjugate

R нанобиоконъюгат

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

205. ნანობიოტექნოლოგია - ტექნოლოგიური მეთოდების ერთობლიობა, რომელიც დაფუძნებულია ნანოტექნოლოგიის, ბიოლოგიაში ნანოტექნოლოგიის ან ბიოტექნოლოგიის მეცნიერულ საფუძვლებზე.

E nanobiotechnology

R нанобиотехнология

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

206. ნანობოლქვი - რამდენიმე სფეროსმაგვარი კონცენტრული გარსით წარმოქმნილი ნანონაწილაკი.

E nano-onion

R нанолуковица

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

207. ნანობოლქვი / ნახშირბადის - ნანობოლქვი, რომელიც ნახშირბადისგან შედგება.

E carbon nano-onion

R нанолюковица / углеродная

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

208. ნანობოჭკო - ნანობიექტი, რომლის ხაზოვანი ზომები ორი განზომილებით ნანოსკალის ინტერვალშია, ხოლო მესამე განზომილება მნიშვნელოვნად მეტია.

E nanofibre

R нановолокно

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

209. ნ.; CNF / ნახშირბადის - ნანობოჭკო, რომელიც ნახშირბადისგან შედგება.

E carbon nanofibre

E CNF

R нановолокно;

R УНВ

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

210. ნანოდანაფარი - დანაფარი, რომლის სისქის ზომა ნანოსკალის ინტერვალშია.

E nanocoating

R нанопокрывтие

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

211. ნანოელექტრონიკა - ელექტრონიკის განყოფილება, რომელიც შეისწავლის ფუნქციური ელექტრონული მოწყობილობების დაპროექტებისა და დამზადების მეთოდებს, რომელთა კომპონენტების ზომები ნანოსკალის ინტერვალშია.

E nanoelectronics

R наноэлектроника

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

212. ნანოემულსია - დენადი ნანოდისპერსული სისტემა, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ თხევად ნანოფაზას.

E nano-emulsion

R наноэмульсия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

213. ნანოზემოქმედება - უჯრედისა და სუბუჯრედის დონეებზე მანიპულირება ნანომასალების და ნანოსკალის ინტერვალის სისტემების თვისებების გამოყენებით.

E nanointervention

R нановоздействие

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

214. ნანოკაფსულა - ნანოობიექტი, რომელსაც აქვს ერთზე მეტი ქიმიურად ან სტრუქტურულად გამოყოფილი კედლის ფენა, ღრუ ან მთელი ბირთვი, რომელიც განკუთვნილია დიაგნოსტიკური და სამკურნალო საშუალებების ან კონტრასტული აგენტების გადასატანად.

E nanocapsule

R нанокапсула

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

215. ნანოკვანძი (ხელსაწყოთმშენებლობა) - მოწყობილობის ნანოტექნოლოგიური კომპონენტი.

E nano-subassembly

R наноузел

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

216. ნანოკილიტა; ნანოფურცელი - ნანოფირფიტა, რომლის ზომები ჰორიზონტალურ სიბრტყეში მნიშვნელოვნად აღემატება სისქის ზომას.

E nanofilm

E nanosheet

R нанофольга

R нанолист

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

217. ნანოკონუსი - კონუსისებრი ფორმის მქონე ნანობოჭკო ან ნანონაწილაკი.

E nanoscone

R наноконус

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

218. ნანოკრისტალი - კრისტალური სტრუქტურის მქონე ნანო-ობიექტი.

E nanopcrystal

R нанокристалл

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

219. ნანოლენტი - ნანოფირფიტა, რომლის ხაზოვანი ზომები ორი განზომილებით ნანოსკალის ინტერვალშია თანაფარდობით $> 2:1$ -ზე და მნიშვნელოვნად ნაკლებია მესამე განზომილებაზე.

E nanoribbon

R нанолента

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

220. ნანოლენტი / ნახშირბადის - ნანოლენტი, რომელიც ნახშირბადისგან შედგება.

E carbon nanoribbon

R нанолента / углеродная

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

221. ნანოლითოგრაფია / დიპ-პენ - ატომურ-ძალური მიკროსკოპის ზონდით (სკანირების წვერით) სპეციალური მასალის ფუძემდებზე გადატანისა და მოცემული შაბლონის შესატყვისი 100 ნმ-ზე ნაკლები ზომის რელიეფური გამოსახულების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც წყლის მენისკის გავლით ფუძემდებზე გადაპირსა და ზონდს შორის დიფუზიით მიმდინარეობს.

E dip-pen nanolithography

R перьевая нанолитография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

222. ნანომავთული (ნანოსადენი) - დენგამტარი ან ნახევარგამტარი ნანობოჭკო.

E nanowire

R нанопроволока

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

223. ნანომანიპულატორი - მაღალი სიზუსტის მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ნანომასალებთან სამუშაოდ ნანოსკალის ინტერვალში.

E nanomanipulator

R наноманипулятор

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

224. ნანომასალა - მყარი ან თხევადი მასალა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შედგება ისეთი სტრუქტურული ელემენტებისგან, რომელთა ზომაც თუნდაც ერთი განზომილებით ნანოსკალის ინტერვალშია.

E nanomaterial

R наноматериал

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

225. ნ. / ლუმინესცენციური (შუქმფენი) - ნანომასალა, რომელიც გამოსცემს ხილულ გამოსხივებას ელექტრული ველით ან ოპტიკური გამოსხივებით მისი ატომებისა და მოლეკულების აგზნებისას.

E luminescent nanomaterial

R люминесцентный наноматериал

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

226. ნ. / საინჟინრო (ტექნიკური) - კონკრეტული გამოყენებისთვის ან მოთხოვნილი ფუნქციის რეალიზაციისთვის დამზადებული ნანომასალა.

E engineered nanomaterial

R наноматериал / технический

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

227. ნ. / სამრეწველო - მოთხოვნილი თვისებებით და / ან შედგენილობით წინასწარგანზრახვით დამზადებული ნანომასალა.

E manufactured nanomaterial

R наноматериал / промышленный

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

228. ნ. / შემთხვევითი - პროცესის მსვლელობისას შემთხვევით წარმოქმნილი ნანომასალა (პროცესის შემთხვევითი თანამდევ პროდუქტი).

E incidental nanomaterial

R наноматериал / побочный

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

229. ნანომატარებელი (ნანოგადამტანი) - ნანოობიექტი ან უფრო მსხვილი ზომის ობიექტი, რომელსაც თავის ზედაპირზე, თავისი მოცულობითი სტრუქტურის შიგნით ან სიღრუეში გადააქვს დიაგნოსტიკური ან სამკურნალო საშუალებები, რომელთა ზომებიც ნანოსკალის ინტერვალშია.

E nanopcarrier

E наноноситель

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

230. ნანომელანი - შედგენილობა, რომელიც შეიცავს ნანომასალებს და გამოიყენება საბეჭდად.

E nano-ink

R наночернила

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

231. ნანომემბრანა - მემბრანა, რომლის სისქის ზომა ნანოსკალის ინტერვალშია.

E nanomembrane

R наномембрана

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

232. ნანომილაკი - დრუ ნანობოჭკო.

E nanotube

R нанотрубка

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

233. ნ. / გირლანდისებრი ნახშირბადის - ნახშირბადის ნანომილაკი, რომელიც შედგენილია გრაფენის წაკვეთილი ნანოკონუსებისგან.

E cup-stacked carbon nanotube

R гирляндная углеродная нанотрубка

R ГУНТ

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

234. ნ.; SWCNT / ერთკედლიანი ნახშირბადის - ნახშირბადის ნანომილაკი, რომელიც შედგება გრაფენის ერთი ცილინდრული შრისგან.

E single-wall carbon nanotube

E SWCNT

R одностенная углеродная нанотрубка

R ОУНТ

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

235. ნ.; MWCNT / მრავალკედლიანი ნახშირბადის - ნახშირბადის ნანომილაკი, რომელიც შედგება ერთმანეთში კონცენტრულად ან თითქმის კონცენტრულად ჩადგმული გრაფენის შრე-

ებისგან, სადაც შრეებს შორის მანძილი გრაფიტის შრეთაშორისი მანძილის ანალოგიურია.

E multiwall carbon nanotube

R MWCNT

R многостенная углеродная нанотрубка

R МУНТ

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

236. ნ.; CNT / ნახშირბადის - ნანომილაკი, რომელიც ნახშირბადისგან შედგება.

E carbon nanotube

E CNT

R нанотрубка / углеродная

R УНТ

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

237. ნ.; DWCNT / ორკედლიანი ნახშირბადის - მრავალკედლიანი ნახშირბადის ნანომილაკი, რომელიც შედგენილია ორი კონცენტრულად ერთმანეთში ჩადგმული ერთკედლიანი ნახშირბადის ნანომილაკისგან.

E double-wall carbon nanotube

E DWCNT

R двустенная углеродная нанотрубка

R ДУНТ

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

238. ნანომოწყობილობა - მოწყობილობა, რომელშიც მატერიალური ელემენტის ან ასეთი ელემენტების ერთობლიობის ზომები ნანოსკალის ინტერვალშია.

E nanoscale device

R наноустройство

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

239. ნანონაწილაკი - ნანობიექტი, რომლის ხაზობრივი ზომები სამივე განზომილებით ნანოსკალის ინტერვალშია.

E nanoparticle

R наночастица

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

240. ნ. „ბირთვი-გარსი“- ნანონაწილაკი, რომელიც შედგება ბირთვისა და ერთი ან რამდენიმე გარსისგან.

E core-shell nanoparticle

R наночастица «ядро-оболочка»

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

241. ნანონემსი - ხისტი (მაგარი) ნანობოჭკო, მუდმივი, ცვალებადი ან კონუსური ფორმის გარე დიამეტრით, რომელიც შექმნილია სითხის ან ნანობიექტების გარკვეულ უჯრედებში ან ქსოვილებში შესატანად და გამოიყენება ბიოლოგიური სტრუქტურების ინდენტირებისთვის.

E nanoneedle

R наноигла

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

242 ნანობიექტი - მატერიალური ობიექტი, რომლის ხაზოვანი ზომები ერთი, ორი ან სამივე განზომილებით ნანოსკალის ინტერვალშია.

E nano-object

R нанообъект

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

671. რეპლიკატორი (ასლის წარმომქმნელი, ლათ. replico - ვიმეორებ, ვპასუხობ) - თავისი ასლის შექმნის ანუ თვითაღწარმოების უნარის მქონე ნანორობოტი. რეპლიკატორების ყველაზე ნათელი მაგალითია დნმ-თანმიმდევრობები, თუ როგორ მრავალჯერ იმეორებენ თავიანთ თავს უჯრედების დაყოფისას. რეპლიკატორი შეიძლება იყოს პასიური ან აქტიური, სასრული ან უსასრულო.

E replication

R репликатор

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

672. რკალი / ფულერენის - ფულერენების მიღების რკალური მეთოდი, რომელიც ეფუძნება გრაფიტის თერმულ დაშლას გრაფიტის ელექტროდის ელექტროლიტური გახურების ან გრაფიტის ზედაპირის ლაზერული დასხივების დროს.

E arc fullerene

R дуга фуллереновая

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

673. რღვევა (სონიკაცია) / ულტრაბგერით - მაღალი სიხშირის ბგერითი ტალღებით ნანონაწილაკების სითხეში დისპერსირება.

E sonication

R разрушение ультразвуком

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

674. საზღვარი / მარცვალთშორისი - პოლიკრისტალურ მყარ სხეულში სხვადასხვაგვარად ორიენტირებული მარცვლების გამყოფი ზედაპირი.

E grain boundary

R межзеренная граница

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

675. სერვისი / დაუშლელი - ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს აგრეგატების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს დაშლა-აწყობის ოპერაციების გარეშე.

E service is in-place

R сервис безразборный

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

676. სერპენტინი (ლათ. *serpens* - გველი) - ჰიდროსილიკატების მაგნიუმრკინოვანი ჯგუფის, მომწვანო-მოყვითალო ფერიდან მუქ მწვანემდე, გველის ტყავის მსგავსი ლაქებიანი მინერალი, რომელიც მრავალი სარემონტო-აღმდგენი პრეპარატის, განსაკუთრებით გეომოდდიფიკატორების ერთ-ერთ აქტიური კომპონენტია.

A Serpentine

R Серпентин

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

677. სითხე / მაგნიტური - მდგრადი კოლოიდური სისტემა მაღალდისპერსული ფერო- ან ფერიმაგნიტური ნაწილაკებისა გადამტან (გადამზიდავ) სითხეში.

E magnetic fluid

R магнитная жидкость

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

678. სიმქისე - რეალური სხეულების ზედაპირის მიკრორელიეფი, რომელიც ჩადრმავებულობებისა და ამოზნექილობების მონაცვლეობაა (უსწორმასწორობაა).

A roughness

R шероховатость

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

679. სინგულარულობა (ლათინური singularis - ერთადერთი) - ერთეულობა (ერთადეთობა) ყოფიერების (არსის), მოვლენების, შემთხვევებისა. ზოგადი სახით - წერტილი დროში, კონცეპტუალურ ან ნებისმიერ სხვა სივრცეში, რომელშიც კანონები ირღვევა, უწყვეტი მიმდინარეობა წყდება.

E singularity

R сингулярность

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

680. სინერგეტიკა - სამეცნიერო მიმართულება, რომელიც შეისწავლის საერთო კანონზომიერებებს, რომლებიც მართავენ თვითორგანიზაციის პროცესებს სხვადასხვა (ბიოლოგიურ, ტექნიკურ, ქიმიურ და სხვ.) სისტემაში.

E synergetics

R синергетика

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

681. სინთეზი / დარტყმით-ტალღური - დარტყმითი ტალღის მექანიკური ზემოქმედების მეთოდი, იგი სწრაფად მიმდინარე პროცესია, ქმნის დინამიკურ პირობებს საბოლოო პროდუქტის

სინთეზისა და მისი ნაწილაკების ნანომეტრული ზომის ფხვნი-
ლამდე დისპერირებისათვის.

E shock wave synthesis

R ударно-волновой синтез

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

682. ს. / ნანოფხვნილების პლაზმურ-ქიმიური - ქიმიური მეთო-
დი, ნიტრიდების, კარბიდების, ბორიდებისა და ოქსიდების
მაღალდისპერსული ფხვნილების მიღებისა, რომელიც მოიცავს
დაბალტემპერატურულ პლაზმაში წონასწორობიდან შორს, ახა-
ლი ფაზის ჩანასახების წარმოქმნის მაღალი და მათი ზრდის
დაბალი სიჩქარით, მიმდინარე რეაქციას.

E plasma chemical technique

R плазмохимический синтез нанопорошков

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

683. ს. ორთქლის კონდენსაციით / აირფაზური - საკონტროლე-
ბელ ტემპერატურაზე და ინერტული აირის დაბალი წნევის ატ-
მოსფეროში ცივ ან ცივთან მიახლოებული ტემპერატურის მქო-
ნე ზედაპირზე ორთქლის კონდენსაციით ლითონების, შენად-
ნობების ან ნაერთების ნანოფხვნილების მიღების მეთოდი.

E gas-phase synthesis with vapour condensation

R газофазный синтез с конденсацией паров

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

684. ს. / ჰიდროთერმული - დახურულ სისტემებში, 100 °C-ზე მა-
ღალ ტემპერატურაზე და 1 ატმ-ზე მეტი წნევისას წყალხსნარებ -
ში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესებით სხვადასხვაგვა-
რი ქიმიური ნაერთებისა და მასალების მიღების მეთოდი.

E hydrothermal synthesis

R гидротермальный синтез

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

285. სისტემა / მონოდისპერსული - ფხვნილი ან ნაწილაკების სუსპენზია, რომელიც პირველად ნაწილაკებს შეიცავს ვიწრო გრანულომეტრიული შედგენილობით.

E monodisperse system

R монодисперсная система

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

686. ს. (NEMS) / ნანოელექტრომექანიკური - ზოგადი ტერმინი ნანოსკალის (ინტერვალში) მიკროელექტრომექანიკური სისტემების (MEMS) აღსაწერად.

E nanoelectromechanical system

E NEMS

R наноэлектромеханическая система

R НЭМС

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

287. ს. / ჰეტეროდისპერსული - სხვადასხვა ზომის ნაწილაკების შემცველი ნაყარი ფხვნილი ან სუსპენზია.

E heterodisperse system

R гетеродисперсная система

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

688. სისტემები / მიკროელექტრომექანიკური - ტექნოლოგიები და მოწყობილობები, რომლებიც აერთიანებენ მიკროელექტრონულ და მიკრომექანიკურ კომპონენტებს.

E Micro-electro-mechanical systems

R микроэлектромеханические системы

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

689. ს. / ნანოელექტრომექანიკური - ტექნოლოგიები და მოწყობილობები, რომლებიც აერთიანებენ 100 ნმ-ამდე ზომის ელექტრონულ და მექანიკურ კომპონენტებს.

E Nanoelectromechanical systems

R Наноэлектромеханические системы

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

690. სორბენტი - მყარი სხეული ან სითხე, რომელიც გარემოდან შერჩევით შთანთქმავს გაზს, ორთქლს ან გახსნილ ნივთიერებებს.

E sorbent

R сорбент

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

691. სპექტროსკოპია / ელექტრონების მიერ (მახასიათებელი) ენერჯიის (და)კარგვის მაღალი გარჩევადობის - მახასიათებელი დანაკარგების სპექტროსკოპიის სახესხვაობა, რომლის ანალიზის ობიექტია, დანაკარგები მყარი ტანის ზედაპირული ატომებისა და მასზე ადსორბატების რხევის აგზნებაზე.

E high-resolution electron energy loss spectroscopy

R спектроскопия высокого разрешения характеристических

потерь энергии электронами

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

692 . ს. / ელექტრონული რხევითი (ვიბრაციული) - მაღალი გარჩევადობის ელექტრონული სპექტროსკოპიის სახესხვაობა, რომელიც საშუალებას იძლევა ელექტრონული სპექტრის მიხედვით განისაზღვროს, საკვლევი ნივთიერების აღნაგობაზე დამოკიდებული, ძირითადი და აგზნებული (ჩვეულებრივ, ყველაზე დაბალი) ელექტრონული მდგომარეობების რხევითი სიხშირეები.

E electron-vibrational spectroscopy

R электронно-колебательная спектроскопия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

693. ს. / მიკროტალღური - მიკროტალღური სპექტრ(ებ)ით მოლეკულების გეომეტრიული აგებულების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც გამოწვეულია მბრუნავ ენერგეტიკულ დონეებს შორის გადასვლებით.

E microwave spectroscopy

R микроволновая спектроскопия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

694. ს. / მოლეკულური ელექტრონული - ნივთიერების აღნაგობის განსაზღვრის მეთოდი, რომელიც ეფუძნება ნივთიერებასთან ურთიერთქმედი და ელექტრონების ერთი ენერგეტიკული დონიდან მეორეზე გადასვლის გამომწვევი სინათლის შთანთქმის და/ან გამოსხივების სპექტრის ანალიზს.

E molecular electron spectroscopy

R молекулярная электронная спектроскопия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

695. ს. / რეზერფორდის უკუგა(ნ)ბნევის - იონური გა(ნ)ბნევის სპექტროსკოპიის სახესხვაობა, რომელიც ეფუძნება He^+ იონების ან საკვლევი ნიმუშის უკუმიმართულებით გა(ნ)ბნეული $\approx 1 - 3$ მევ ენერგიის მქონე პროტონების ენერგეტიკული სპექტრის ანალიზს.

E Rutherford backscattering spectroscopy

R спектроскопия Резерфордского обратного рассеяния

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

696. ს. / რენტგენული - ნივთიერების შედგენილობის განსაზღვრის მეთოდი სინათლის შთანთქმის (აბსორბციის) ან გამოსხივების (ემისიის) კვანტების მიხედვით, რომელთა ტალღის სიგრძე რენტგენულ დიაპაზონშია - 0,01-იდან 100 ნმ-ამდე.

E X-ray spectroscopy

R рентгеновская спектроскопия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

697. ს. / რხევითი (ვიბრაციული) - სინათლის შთანთქმის ან გამოსხივების რხევითი სპექტრის მიხედვით, ნივთიერების აგებულობის კვლევის მეთოდების ოჯახი, რომელიც დაკავშირებულია ენერგეტიკულ მდგომარეობებს შორის გადასვლებთან

და ხასიათდებიან ატომების განსხვავებული რხევებით წონასწორულ მდგომარეობასთან შედარებით.

E vibrational spectroscopy

E IR-spectroscopy

E FTIR-spectroscopy

R колебательная спектроскопия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

298. ს. / ტუნელური მასკანირებელი - მასკანირებელი ტუნელური მიკროსკოპიის ერთობლიობა, რომელიც ნიმუშსა და ნემსს შორის ძაბვის ვარირებით, საკვლევი ზედაპირის ლოკალური ელექტრონული სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

E scanning tunneling spectroscopy

R сканирующая туннельная спектроскопия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

699. ს. / ფოტონური კორელაციური - აირული და თხევადი არეების სტრუქტურისა და დინამიკის კვლევის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია გაბნეული გამოსხივების ინტენსიურობის დრო(ებ)ითი ავტოკორელაციური ფუნქციის ანალიზზე.

E photon correlation spectroscopy

R фотонная корреляционная спектроскопия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

700. ს. / ფოტოელექტრონული - ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის მეთოდი, რომელშიც ულტრაიისფერი (UV), ვაკუუმური ულტრაიისფერი (VUV) ან რენტგენული (X) გამოსხივება გამოიყენება ელექტრონების ბმული მდგომარეობიდან გამოსაყვანად მყარი სხეულში და შემდგომ ელექტრონული ენერჯის ანალიზატორით მათი აღმოჩენა. მეთოდის გაფართოებისას შესაძლებელია ელექტრონების კუთხური განაწილების გაზომვა, ინფორმაციის მიღება ზონურ სტრუქტურაზე ან, ფოტოელექ-

ტრონული დიფრაქციის დახმარებით, კრისტალური მყარი სხეულის ზედაპირის გეომეტრიულ სტრუქტურაზე.

E photoelectron spectroscopy

R фотоэлектронная спектроскопия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

301. ს. / ფოტოემისიური - იხ. ფოტოელექტრონული სპექტროსკოპია.

E photoemission spectroscopy

R фотоэмиссионная спектроскопия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

702. ს. / შებრუნებული ფოტოემისიური - ელექტრონული სპექტროსკოპიის მეთოდი, რომელიც გამოიყენება მყარი ტანის ზედაპირის შეუვსებელი ელექტრონული მდგომარეობის ელექტრონული სტრუქტურის ანალიზისთვის.

E inverse photoelectron spectroscopy

R обратная фотоэмиссионная спектроскопия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

703. სტრუქტურა / კლატრატული - იხ. კლატრატი

E clathrate structure

R клатратная структура

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

704. სუპერმაგნეტიზმი - სუსტად ურთიერთმოქმედი ნანოზომის ფერო- ან ფერიმაგნიტური ნაწილაკებისგან შედგენილი ნივთიერებისა და მასალების კვაზიპარამაგნიტური ქცევა.

E superparamagnetism

R суперпарамагнетизм

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

705. სუპერსტრუქტურა / ზედაპირის - კრისტალის ზედა ატომური შრის (ან რამდენიმე შრის) სპეციფიკური სტრუქტურა.

E surface superstructure

R суперструктура поверхности

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

706. სუპერსფერო - დაახლოებით სფერული ფორმის აგლომერატი, წარმოქმნილი დაახლოებით სფერული პირველადი ნაწილაკებისგან.

E supersphere

R Сверхсфера

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

707. სურფაკტანტი / ამფოტერული - ზედაპირულად აქტიური ნივთიერება, რომელსაც უნარი აქვს, ხსნარის მჟავიანობიდან გამომდინარე, იყოს პროტონის დონორი ან აქცეპტორი.

E ampholitic surfactant

R амфотерный сурфактант

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

708. სქემა / ინტეგრალური ფოტოინური - მოწყობილობა (მონოლითური ან ჰიბრიდული ინტეგრალური სქემა), რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ ოპტიკურ ელემენტს და აქვს გარკვეული ოპტიკური ან ელექტროოპტიკური ფუნქციები.

E Photonic integrated circuit

E PIC

E Integrated optical circuit

R фотонная интегральная схема

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

709. სხეული / მყარი - ნივთიერების ოთხი აგრეგატული მდგომარეობიდან ერთ-ერთი, რომელიც განსხვავდება სხვა აგრეგატული მდგომარეობებისგან (სითხისგან, გაზისგან, პლაზმურისგან) ფორმის სტაბილურობითა და ატომების თბური მოძრაობის ხასიათით, რომლებიც მცირედ ირხევიან წონასწორული მდგომარეობის სიახლოვეს.

E solid state of matter

R твердое тело

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

710. სხივი / დაფოკუსებული იონური - იონების კონცენტრირებული ნაკადი, რომელიც გამოიყენება თანამედროვე სამეცნიერო საკვლევ ხელსაწყოებსა და ტექნიკაში სხვადასხვა მასალის ინტენსიური და პრეციზიული დამუშავებისთვის.

E focused ion beam

R фокусированный ионный пучок

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

711. ტექნიკა / ნანოსისტემური - სრულად ან ნაწილობრივ ნანომასალებისა და ნანოტექნოლოგიების საფუძვლებზე შექმნილი ფუნქციურად დასრულებული სისტემები და მოწყობილობები, რომელთა მახასიათებლები ძირეულად განსხვავდება, ტრადიციული ტექნოლოგიით შექმნილი, ანალოგიური დანიშნულების სისტემებისა და მოწყობილობების მაჩვენებლებისგან.

E Nanosystem technology

R Техника наносистемная

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

712. ტექნოლოგია / მოცულობითი - ტექნოლოგია, რომელიც ეფუძნება ატომებისა და მოლეკულების ერთობლიობების (მასობრივი ტექნოლოგია ან მასალა) და არა ინდივიდუალური ატომების მანიპულირებას.

E bulk-technology

R балк-технология

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

713. ტ. / ფულერენების - სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება, რომელიც იკვლევს ფულერენების როგორც წარმოების მეთოდებს, ისე მათ სხვადასხვაგვარ გამოყენებით შესაძლებლობებს (ამოცანებს).

E fullerene technology

R технология фуллеренов

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

714. ტექნოლოგიები / კონვერგენტული - „ტექნოლოგიის დიდი ოთხეულის“, ნანოტექნოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, საკომუნიკაციო-საინფორმაციო და შემეცნებითი (კოგნიტიური) ტექნოლოგიების ურთიერთდაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური სფერო.

E convergent technologies

R технологии конвергентные

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

715. ტ. / კრიტიკული - საწინააღმდეგო (უარყოფელი, მადეზავირებელი), სალიკვიდაციო ტექნოლოგიები, რომლებიც (თავისი გაჩენით) ხურავენ მთელ ხაზებს ან უაზროდ აქცევს ნებისმიერ იმ მიმართულების შემდგომ განვითარებას. მაგალითად, სარაკეტო ტექნოლოგიისა და ინტერკონტინენტური რაკეტების განვითარებამ დახურა სტრატეგიული ბომბდამშენების მიმართულება, ანუ ისინი ჩვეულებრივი და არასტრატეგიული იარაღი გახადა, ფაქტობრივად შეამცირა მათი გაფართოების პროგრამა.

E technology is critical

R технологии критические

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

716. ტიუნინგი / ავტოქიმიური - ავტოქიმიის პრეპარატებით ძრავების სპეციალური დამუშავება, ხახუნზე მექანიკური დანაკარგების შესამცირებლად და ძრავის სიმძლავრის გაზრდის მიზნით.

E auto chemical tuning

R тюнинг автохимический

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

717. ტომოგრაფია / ელექტრონული - უჯრედებისა და სუბუჯრედოვანი სტრუქტურების სამგანზომილებიანი გამოსახულების მიღების ტექნოლოგია ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპით.

E electron microscopy tomography

R электронная томография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

718. ტ. / მაგნიტურ-რეზონანსული - სამედიცინო დიაგნოსტიკის მეთოდი, რომელიც შინაგანი ორგანოებისა და ქსოვილების დასათვალისწინებლად იყენებს ძლიერმაგნიტურ ველსა და რადიოსიხშირულ გამოსხივებას.

E magnetic resonance imaging

R магнитно-резонансная томография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

719. ტრანზისტორი - ნახევარგამტარული მოწყობილობა ელექტრული რხევების გაძლიერების, წარმოქმნისა (გენერირებისა) და გარდაქმნისთვის.

E transistor

R транзистор

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

720. ტრიბოლოგია - მეცნიერება მყარი სხეულების კონტაქტური ურთიერთქმედების შესახებ მათი ფარდობითი მოძრაობისას, რომელიც მოიცავს მანქანებში ხახუნის, ცვეთის, შეზეთვისა და თვითორგანიზების საკითხების მთელ კომპლექსს.

E tribology

R трибология

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

721. ტრიბოტექნოლოგია - ტექნიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ხახუნის პროცესის პრაქტიკული გამოყენებისკენ, ხახუნის ზედაპირების

აღსადგენად და მოხაზუნე სხეულების ზედაპირებისთვის მაღალი ანტიფრიქციული და ცვეთასაწინააღმდეგო თვისებების მისანიჭებლად.

E tribotechnology

R триботехнология

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

722. ტუნელირება - კვანტური ნაწილაკების, მათ შორის ელექტრონებისაც, უნიკალური თვისება, რომელიც ვლინდება, როდესაც ზღუდის (არეები, რომელთა გადაკვეთაც მიულწეველია კლასიკური ნაწილაკისთვის, რამდენადაც ზღუდის პოტენციური ენერგია აღემატება მის სრულ ენერგიას) ერთ მხარეს ლოკალიზებული ელექტრონები (რომელთა ენერგია მოცემულ ზღუდეში პოტენციურ ბარიერზე დაბალია) ზღუდესთან შეხვედრისას, რომლის გავლასაც დიდი ენერგია ესაჭიროება, არ აირეკლებიან მისგან, მაგრამ, როგორც ტალღას, უნარი აქვთ, ნულიდან განსხვავებული ალბათობით გააღწიონ ზღუდეს (ენერგიის დანაკარგებით) და მის მეორე მხარეს აღმოჩნდნენ.

E tunneling

R тунелирование

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

723. ურთიერთქმედება / დისპერსიული - მუდმივი დიპოლური მომენტის არმქონე მოლეკულებს შორის ურთიერთქმედება, რომელიც განპირობებულია სუსტად დაკავშირებული გარე ელექტრონებით.

E dispersion interaction

R дисперсионное взаимодействие

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

724 . უ. / მოლეკულათშორისი - ურთიერთქმედება ელექტრულად ნეიტრალურ მოლეკულებს ან ატომებს შორის.

E intermolecular interaction

R межмолекулярное взаимодействие

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

725. ურთიერთქმედება / ჰიდროფობიური - წყალში არაპოლარულ ნაწილაკებს შორის მიზიდულობა (ან სხვა პოლარულ გამხსნელებში), რომელიც განპირობებულია არაპოლარულ ნივთიერებებთან წყლის კონტაქტის თერმოდინამიკური არახელსაყრელობით.

E hydrofobic effect

R гидрофобное взаимодействие

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

726. ფანტელი - სითხეში შეტივტივებული, თავდაპირველად დისპერსირებული, ერთმანეთთან სუსტად მიზიდული ნაწილაკების ერთობლიობა.

E floe

R ледяное поле

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

727. ფართობი / ზედაპირის - ფაზების გამყოფი საზღვრის (ინტერფეისის) ფართობი, რომელიც განისაზღვრება, როგორც მოცემული მეთოდით მოცემულ პირობებში დადგენილი ხელმისაწვდომი ფართობის სიდიდე.

E surface area, area of interface

R площадь поверхности

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

728. ფ. BET / ზედაპირის - BET ანალიზით გამოთვლილი ზედაპირის ფართობი

E BET surface area

R площадь поверхности BET

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

729. ფ. / ფუქსის ზედაპირის - ზედაპირის ფართობი (აეროზოლური ნაწილაკისა), რომელიც ურთიერთქმედებს მის გადამზიდ (გადამტან) გაზთან.

E Fuchs surface area

R Площадь поверхности Фукса

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

730. ფემტო (დანიური femten - თხუთმეტი) - ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში ფიზიკური სიდიდის ერთეულის სახელწოდების თავსართი იმ ჯერადი ერთეულების სახელწოდებათა შესაქმნელად, რომლებიც აღნიშნავს ამოსავალი ერთეულის 10^{-15} ნაწილს. საერთაშორისო აღნიშვნაა f, ქართული ფ. მაგ. 1ფმ = 10^{-15} მ.

E femto

R фемто

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

731. ფენა ;EDL / ელექტრული ორმაგი - საპირისპიროდ დამუხტული იონების ორი ფენა, წარმოქმნილი, დაელექტრობული მყარი სხეულის / სითხის გამყოფ საზღვარზე, გამყოფ საზღვართან ურთიერთსაწინააღმდეგოდ დამუხტული იონების (კონტრიონების) მიზიდულობის გამო ფაზათაშორისი მუხტით.

E electrical double layer

E EDL

R двойной электрический слой

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

732. ფიზიკა / ფულერენების - ფიზიკის სამეცნიერო მიმართულება, რომელიც შეისწავლის, სხვადასხვა ფაზურ მდგომარეობაში, ფულერენებისა და მათი ნაერთების სტრუქტურულ, მექანიკურ, ელექტრულ, მაგნიტურ, ოპტიკურ თვისებებს, აგრეთვე, ამ ნაერთებში სწავლობს ნახშირბადის ატომების ურთიერთობების ხასიათს, ფულერენების მოლეკულების სპექტროსკოპიას, ფუ-

ლერენების მოლეკულებისაგან შედგენილი სისტემების თვისებებსა და სტრუქტურას.

E physics of fullerenes

R физика фуллеренов

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

733. ფირები / თხელი - მასალის თხელი ფენები, რომელთა სისქე ნანომეტრის რამდენიმე ნაწილიდან (მონოატომური შრიდან) რამდენიმე მიკრონამდეა.

E thin films

R тонкие пленки

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

734. ფირი (აფსკი) / სერვო - ხახუნის ზედაპირებზე უცვეთობის ეფექტისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ასეული ნმ სისქის განსაკუთრებული სტრუქტურა. მასში რეალიზდება დეფორმაციის განსაკუთრებული (თავისებური) მექანიზმი - დეფორმაცია ხდება დადლილობითი პროცესებისთვის დამახასიათებელი დეფექტების დაგროვების გარეშე.

E servo film

R сервовитная пленка

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

735. ფლოკულაცია - ფანტელების ფორმირების პროცესი.

E flocculation

R флокуляция

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

736. ფონონი - phonon - კრისტალური გისოსის ატომების რხევის კვანტი.

E phonon

R фонон

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

737. ფოტონიკა - მეცნიერებისა და ტექნიკის სფერო (დარგი), რომელიც შეისწავლის ოპტიკური სიგნალების გენერაციის, გამოსხივების, გადაცემის, მოდულაციის, გაძლიერების, დამუშავების, დეტექტირებისა და გარჩევის ფუნდამენტურ და გამოყენებით ასპექტებს, აგრეთვე ამ მოვლენების გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა დანიშნულების ოპტიკური, ელექტრო-ოპტიკური და ოპტოელექტრონული მოწყობილობების შემუშავებისა და შექმნისას.

E photonics

R фотоника

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

738. ფოტორეზისტი - სინათლის ან რენტგენული სხივებისადმი მგრძობიარე მასალა (პოლიმერულ ფუძეზე დამზადებული). იგი გამოიყენება ლითოგრაფიულ პროცესში ფუძეშირეზე აფსკური დანაფარის (ფირის) დასატანად, ელექტრონული სქემის ელემენტებიანი „ნიღბის“ (თარგის, შაბლონის) დასხივებისა და შემდგომი გამჟღავნებისას (ამოჭმა ხსნარში) სქემის გამოსახულება გადაეცემა ფუძეშირეს.

E photoresist

R фоторезист

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

739. ფოტოსინთეზი - მზის სინათლის ენერჯის გამოყენებით მწვანე მცენარეულობით და ზოგი ბაქტერიით ორგანული ნივთიერებების წარმოქმნა არაორგანული ნივთიერებებიდან.

E photosynthesis

R фотосинтез

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

740. ფოტოქიმია / სუპრამოლეკულური - ფოტოქიმიის განყოფილება, რომელიც შეისწავლის სუპრამოლეკულური სისტემების ელექტრონულ თვისებებს, აგებულებას და ფოტოქიმიურ გარდაქმნებს.

E supramolecular photochemistry

R супрамолекулярная фотохимия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

741. ფულერიდი - ინტერკალირებული ფულერიტი

E fulleride

R фуллерид

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

742. ფულერიტები - მყარი ფულერენები C_{60} წახნაგდაცენტრებული კუბური გისოსის მქონე კრისტალებია, საკმაოდ სუსტი მოლეკულათშორისი კავშირებით. კრისტალში არის ოქტაედრული და ტეტრაედრული სიცარიელები, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს უცხო ატომებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მთელი მასალის თვისებებზე.

E fullerites

R фуллериты

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

743. ფუბეშრე - ნიმუში, რომელსაც სპეციალურად მომზადებული ზედაპირი აქვს ფირებისა და ნანოსტრუქტურების გასაზრდელად ან ზედაპირული პროცესებზე (ადსორბციის, დესორბციის, კლასტერის წარმოქმნის, ზედაპირული დიფუზიის და ა.შ.) კვლევების ჩასატარებლად.

E substrate

R подложка

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

744. ფუნქციონალიზაცია - ქიმიური ფუნქციური ჯგუფების მიერთება ზედაპირზე,

E functionalization

R функционализация

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

745. ფხვნილი / დაფქული - წისქვილზე დამუშავების შედეგად მიღებული ფხვნილი.

E milled powder

R молотый порошок

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

746. ფ. /კვამლის - კვამლისგან ამოღებული ფხვნილი

E fumed powder

R пылающий порошок

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

747. ქიმია / რბილი - მყარფაზური მასალების მიღების ქიმიური მეთოდების ერთობლიობის დამკვიდრებული დასახელება, რომელიც გულისხმობს მაღალი ტემპერატურისა და წნევის მინიმალურ გამოყენებას.

E soft chemistry

R "мягкая" химия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

748. ქ. / სველი - წყალხნარებიდან და არაწყალხნარებიდან ნანო- და ულტრადისპერსული არაორგანული ფხვნილების მიღების მეთოდების ერთობლიობის დამკვიდრებული ჟარგონული დასახელება.

E wet chemical methods

R мокрая" химия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

749. ქ. / სუპრამოლეკულური - 1. ქიმიის სფერო (დარგი), რომელიც იკვლევს სუპრამოლეკულურ სტრუქტურებს (ორი ან მეტი მოლეკულისგან შედგენილ ანსამბლებს, რომლებიც ერთმანეთთან მოლეკულური ურთიერთქმედებითაა შეკავშირებული); 2. მოლეკულური ანსამბლებისა და მოლეკულათშორისი კავშირების ქიმია (ჟ. მ. ლენის განსაზღვრება).

E supramolecular chemistry

R супрамолекулярная химия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

350. ქ. / ფულერენების - ქიმიის სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება, რომელიც ეწევა ფულერენების კლასის შექმნასა და შესწავლას. თავისი კონცეფციითა და კვლევის მეთოდებით პრინციპულად განსხვავდება ტრადიციული ქიმიისგან.

E chemistry of fullerenes

R химия фуллеренов

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

751. ქიმოტოლოგია (აბრევიატურა: ქიმია, მოტორი, ლოგია) - მეცნიერება, ტექნიკაში საწვავის, ზეთებისა და ავტოქიმიის რაციონალური გამოყენების შესახებ.

E chemotomology

R химмотология

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

752. ქლოროფილი - მცენარეების, წყალმცენარეებისა და ციანობაქტერიების მწვანე პიგმენტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფოტოსინთეზის პროცესში.

E chlorophyll

R хлорофилл

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

753. ქრომატოგრაფია - ნივთიერებებისა და მათი ნარევების ანალიზისა და კვლევის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდი, რომელიც ეფუძნება კომპონენტების გამოყოფას, უძრავი ფაზის შრეში მოძრავი ფაზის ნაკადის გადაადგილებისას.

E chromatography

R хроматография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

754. ე. / მაღალეფექტური თხევადი - ნივთიერებების რთული ნარევების განცალკევების ერთ-ერთი ეფექტური ქრომატოგრაფიული მეთოდი, რომელიც ეფუძნება შემადგენელი კომპონენტების ადსორბციის განსხვავებულ უნარს, სორბენტთან მიმართებაში.

E high performance liquid chromatography

R высокоэффективная жидкостная хроматография

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

755. ქსეროგელი - აკვა- ან ალკოგელის ატმოსფერულ წნევაზე, საკმაოდ მძიმე პირობებში გაშრობის პროდუქტი, რომელშიც მაკროფორების დაშლა (ნგრევა, კოლაფსი) იწვევს მასალის სიმკვრივის მნიშვნელოვან ზრდას.

E xerogel

R ксерогель

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

756. შაბლონი - ნაწილაკი ან სტრუქტურა, რომელიც მაორგანიზებელ როლს ასრულებს. სუპრამოლეკულური კომპლექსების ან ნანოსტრუქტურების სინთეზისას.

E template

R темплат

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

757. შექმნა / ხსნარის ფაზის შაბლონის - ხსნარში მკაფიოდ განსაზღვრული, სტრუქტურების შექმნის მეთოდი მოლეკულური თვითაწყობის გამოყენებით შაბლონთან ერთად.

E solution phase templating

R создание шаблона фазы решения

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

758. შეცხოვა / დაბალტემპერატურული - ფხვნილოვანი ნაწილებისა და სუსპენზიური სხმულების შეცხოვის პროცესი, რომელიც ატმოსფერულ წნევაზე და დამატებითი მაღალენერგეტი-

კული (წნევის, ელექტრული განმუხტვის) ზემოქმედების გარეშე, შეცხოების ტემპერატურაზე, 100⁰ C ზე, ბევრად ნაკლებ ტემპერატურაზე რეალიზდება ნედლეულის ტრადიციული წყაროების გამოყენებისას.

E low temperature sintering

R низкотемпературное спекание

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

759. შ. / ნანოკერამიკის - ნანოფხვნილებისა და მათგან დაწნეხილი ნაშადების თერმული დამუშავების მეთოდი კომპაქტური (კონსოლიდირებული) უფრო ან მინიმალური ფორიანობის მარცვლის მინიმალური საშუალო ზომის მქონე მასალებისა და ნაკეთობების მისაღებად.

E sintering of nanoceramics

R спекание нанокерамики

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

760. შთანთქმა / ქიმიური - ადსორბციის ან აბსორბციის პროცესი, რომელშიც, ფიზიკური ადსორბციისგან განსხვავებით, ქიმიური კავშირი (ბმა) წარმოიქმნება ადსორბატის ატომებს ან მოლეკულებსა და ადსორბენტს შორის, ან აბსორბატის მოლეკულებით.

E chemisorption

R хемосорбция

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

761. შრე / ორმაგი ელექტრული - ორი ფაზის გამყოფ საზღვარზე წარმოქმნილი საპირისპირო ნიშნის სივრცულად განცალკევებული ელექტრული მუხტის თხელი ზედაპირული შრე.

E electrical double layer

R двойной электрический слой

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

762. შუნგიტი - მინერალი, რომლის დასახელებაც კარელიაში შუნგის დასახლების დასახელებას უკავშირდება. იქ პირველად იქნა გამოვლენილი (აღმოჩენილი) ბუნებრივი ფულერენები.

A shungit

R шунгит

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

763. შუქდიოდი - ნანომეტრულ ჰეტეროსტრუქტურაზე დაფუძნებული ხელსაწყო, რომელიც ელექტრულ დენს სინათლის გამოსხივებად გარდაქმნის.

E light - emitting diode

E LED

R светодиод

R (LED-светодиод)

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

764. ცვეთილობა - დაქუცმაცების ფორმა, როდესაც ზომის შემცირება გამოწვეულია ეროზიით, რომელსაც ნაწილაკების სხვა ნაწილაკებთან ან ზედაპირებთან შეჯახება იწვევს. ასევე იწოდება, როგორც ულტრაწმინდა დაწვრილმანება ან ნანოზირება.

A attrition

R потертость

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

765. ძვრა / ცისფერი - სინათლის შთანთქმის ზოლის ნაპირის (კიდის) ძვრა მაღალი სიხშირის არეში ნახევარგამყარი ნაწილაკებით მათი ზომის შემცირებისას.

E blue shift

R голубой сдвиг

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

766. ძვრადობა (მობილობის ზომა) / ნაწილაკების მასკანირებელი; SMPS - ნანონაწილაკების გამოვლენისა და დათვლის მეთოდი, რომელიც იძლევა ინფორმაციას როგორც ზომაზე, ასევე

რაოდენობაზე და შეუძლია გაზომოს აეროზოლის გრანულო-
მეტრიული შედგენილობა, როგორც წესი, 3 – იდან 800 ნმ –
ამდე; ეფუძნება ელექტროდებს შორის გავლისას ნაწილაკების
დამუხტვისა და განცალკევების დამოკიდებულებას მათ
ძვრაობაზე.

E scanning mobility particle sizing

E SMPS

R сканирующая подвижность частиц

R SMPS

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

767. წარმოება; MM / მოლეკულური - რადიკალური ნანოტექ-
ნოლოგიის კონცეფცია, რომლიც პირველად შეიმუშავა
კ. ე. დრექსლერმა. მოიცავს მაკროსკოპული ობიექტების დამზა-
დებას, კომპიუტერში კონტროლირებად ინჟინერიასა და ნანოს-
კალიანი დანადგარების (მათ შორის: ნანომრავების, ნანოდამზა-
რისხებლების, ნანოქარხნებისა და ნანოასემბლერების) მშენებ-
ლობას. შეიძლება აღწერილი იყოს როგორც, ქიმიაში გამოყენე-
ბული, მექანიკური ინჟინერიის პრინციპები.

E molecular manufacturing

E MM

R молекулярное производство

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

768. წარმოქმნა / ფეთქებადი (აფეთქებული) **მავთულით**
აეროზოლის - იხ. ელექტრო აფეთქება.

E exploding wire aerosol generation

R образование аэрозоля взрывающаяся проволоки

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

769. წერტილი; IEP / იზოელექტრული - pH, რომელზედაც
შეტივტივებულ ნაწილაკს აქვს ნულოვანი ზეტა პოტენციალი.

E isoelectric point

E IEP

R изоэлектрическая точка

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

770. წ. / იზოიონური - pH ხსნარისა, რომელშიც შეტივტივებული ნაწილაკი ან მოლეკულა შეიცავს უარყოფითი და დადებითი მუხტების ერთნაირ რაოდენობას.

E isoionic point

R изоионная точка

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

771. წ.; PZC / ნულოვანი მუხტის - pH, რომელზედაც გაწონასწორებულია შეტივტივებული ნაწილაკის უარყოფითი და დადებითი მუხტები ისე, რომ მას არ გააჩნია წმინდა მუხტი.

E point of zero charge

E PZC

R точка нулевого заряда

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

772. წინაღობა / გიგანტური მაგნიტური - მაგნიტური ველის ზემოქმედებით ნიმუშის ელექტროწინაღობის ცვლილების ეფექტი (უპირატესად ჰეტეროსტრუქტურებსა და ზეგისოსებში).

E giant magnetoresistance

R гигантское магнетосопротивление

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

773 . წ. / ტუნელური მაგნიტური - ელექტროწინაღობის ცვლილების ეფექტი დიელექტრიკის თხელი შრით გაყოფილ ფერომაგნეტიკის ორ არეს შორის, რომელსაც იწვევს მაგნიტური ველის მოქმედებით სპინპოლარიზებული გადამტანების ტუნელური გადასვლა.

E tunnel magnetoresistance

R туннельное магнетосопротивление

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

774. წისქვილი / ბურთულეებიანი - ხელსაწყო (დოლური ტიპისა), რომელშიც მყარი მასალების დასაქუცმაცებლად და მყარი ნივთიერებებისა და სითხეების შესარევად (სუსპენზიებისა და ემულსიების მოსამზადებლად) სალი მასალისგან დამზადებული ბურთულეები გამოიყენება.

E ball mill

R шаровая мельница

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

775. წნეხა / ნანოფხვნილების ულტრაბგერით - კერამიკული ნანოფხვნილების მშრალი ცივი კომპაქტირების მეთოდი პლასტიფიკატორების გამოყენების გარეშე.

E Ultrasound pressing of nanopowders

R ультразвуковое прессование нанопорошков

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

776. წყარო / დენის ქიმიური - ჟანგვა-აღდგენის რეაქციის ქიმიური ენერჯის ელექტრულ ენერჯიად პირდაპირ გარდასაქმნელი მოწყობილობა.

E chemical current source

R химический источник тока

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

777. ხახუნის მიკრო/ნანო მასშტაბის დონეზე – პროცესი, რომელიც მიმდინარეობს თხელ (მიკრო- / ნანომეტრის მასშტაბის) ზედაპირულ ფენებში მყარი სხეულების ურთიერთქმედებისას მათი ფარდობითი გადაადგილებების დროს. იგი განისაზღვრება ზედაპირების სიმქისით ან სუბსიმქისით, თხელი სასაზღვრო ფირების თვისებებითა და ზედაპირების ადჰეზიური მახასიათებლებით.

E Micro/nano-scale friction

R трение на микро/нано-масштабном уровне

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

778. ხირალობა (ინგლ. chirality, ბერძნ. Hira - ხელი) - ცნება ქიმი-
აში, რომელიც ახასიათებს ობიექტის თვისებას, იყოს შეუთავსე-
ბელი თავის გამოსახულებასთან (ანარეკლთან) იდეალურად
ბრტყელ სარკეში.

E chirality

R хиральность

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

779. ჰეტეროეპიტაქსია - ეპიტაქსიის სახე, როცა მზარდი შრე
ფუძემშრის ნივთიერებისგან ქიმიური შედგენილობით განსხვა-
ვდება.

E heteroepitaxy

R гетероэпитаксия

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

780. ჰეტეროკოაგულაცია - სხვადასხვაგვარი ნაწილაკის აგრე-
გაცია ელექტროლიტის დამატებით მათ სუსპენზიაში.

E heterocoagulation

R гетерокоагуляции

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

781. ჰეტეროსტრუქტურა (ბერძნ. ἕτερος განსხვავებული) / **ნა-
ხევარგამტარული** - რამდენიმე ჰეტეროგადასვლის (ორი სხვა-
დასხვა ნახევარგამტარის კონტაქტის) კომბინაცია, რომელიც
შრეულ ნახევარგამტარ სტრუქტურებში ელექტრონებისა და
ხვრელების პოტენციალური ორმოების შესაქმნელად გამოიყე-
ნება და ნახევარგამტარულ ლაზერებსა და შუქგამომსხივარ
დიოდებში მოიხმარება.

E heterostructure /semiconductor

R гетероструктура

= ომარ შურაძე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა
განმარტებითი ლექსიკონი

782. ჰიდროზოლი - ზოლი, რომელშიც წყალი ქმნის დისპერ-
სიულ გარემოს.

E hydrosol

R гидрозоль

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

783. ჰიპერთერმია - ორგანიზმის ამ მისი ნაწილის გაცხელება ფიზიოლოგიურ ნორმაზე მაღლა.

E hyperthermia

R гипертермия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

784. ჰომოეპიტაქსია - ეპიტაქსიის სახე, რომლის დროსაც მზარდი შრის და ფუძეშრის მასალები ერთნაირია. განსხვავება შესაძლებელია მხოლოდ მალეგირებელი დანამატების შედგენილობაში.

E homoepitaxy

R гомоэпитаксия

= ომარ შურამე, ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

სტანდარტული ტერმინების საძიებლები

NN 1 – 368

INDEX OF BASIC TERMS

A

ablation / laser 1
adsorption 7
acid hydrolysis of cellulose 368
aerosol 8
AES 278
AFM 181
agent / nanoscale imaging 2
agglomerate 3
– / nanostructured 4
aggregate 5
– / nanostructured 6
ALD 66
alignment / fluidic 55
analysis / evolved-gas 30
– / nanoparticle tracking 31
– / particle tracking 31
anodization / electrochemical 288
area / mass specific surface 327
– / volume specific surface 328
assembly / directed 41
– / electrostatic driven 38
– / hierarchical 39
– / magnetic driven 40
– / shape-based 42
– / supramolecular 43

B

bionanotechnology 44

C

calorimetry / differential scanning 140
capsule / nanostructured 141
casting / tape 356
CCVD 63
cell / dye-sensitized photovoltaic 118
– / nanowire photovoltaic 115
– / plasmonic photovoltaic 116
– / quantum well photovoltaic 117
chromatography / size-exclusion 347
classifier / differential electrical mobility 143
CLS 79
CNF 209
CNT 236
coating 87
– / cluster beam 90
– / dip 91
– / nanocomposite 88
– / nanoparticle spray 94
– / nanostructured 89
– / spin 82
co-deposition 130**
communion 99
condensation / prompt inorganic 143
contact / nanoscale 145
– / nanoscale electric 45
counter / Coulter 174
– / condensation particle 200
coupled / plasma inductive 13
CPC 200
crystallization / colloidal 147
CVD 65
C2S2 85
D
DCS 79

DEMC 143
density / electric surface charge 294
deposition / atomic layer 66
– / catalytic chemical vapour 63
– / chemical vapour 65
– / electroless 80
– / electro-spark 71
– / focused electron-beam 68
– / focused ion-beam 69
– / ion induced 72
– / layer-by-layer 81
– / microfluidic 36
– / multilayer 74
– / physical vapour 64
– / scanning tunnelling microscope chemical vapour 73
– / spray 67
– / sputter 70
derivatives / fullerene 361
derivatization / block copolymer chemical 105
device 197
– / nano-enabled 198
– / nanoscale 238
– / organic photovoltaic 199
devitrification 56
diameter / hydrodynamic 108
– / equivalent 106
– / equivalent spherical 107
diffraction / neutron 113
– / X-ray 114
diode / organic light emitting 355
dispersion / clay 109
– / nanoparticle 110
– / polymer nanoparticle 111
DLS 49

DMAS 299
dot / quantum 363
DPI 139
DRIE 23
dry-ashing 53
dry-etching 19
drying / freeze 354
– / spray 353
DSC 140
DSSC 118
DUV 341
DWCNT 237

E

EBSD 112
EDS 308
EDX 308
EELS 307
effect / Raman 127
EGA 30
electron / Auger 277
– backscatter diffraction 112
– paramagnetic resonance 290
electrodeposition 120
electrometer / Faraday-cup aerosol 121
electronics / organic 124
– / organic and large area 163
– / plastics 124
– / polymer 124
electroplating 120
electrospinning 122
electro-spray 119
embossing 324
epitaxy / molecular beam 125
EPR 290

- etching / anisotropic 9
 - / chemical 27
 - / chemically assisted ion beam 28
 - / cryogenic 16
 - / crystallographic 17
 - / deep reactive ion 23
 - / focused ion-beam 11
 - / high-density plasma 18
 - / ion beam 15
 - / ion induced 14
 - / isotropic 12
 - / light-assisted 25
 - / photochemical 25
 - / physical 26
 - / plasma 20
 - / radiation track 21
 - / reactive ion 22
 - / selective 29
 - / sputter 26
 - / wet 24
- EUV 339
- evaporation 52
 - / electron-beam 33
- expansion / supercritical 57
 - / wire electric 34

F

- FCAE 121
- FCS 317
- FFF 92
- FIB 11, 69, 155
- film 329
 - / nanocomposite 330
 - / nanostructured 331
- fluorescence 332

- / X-ray 333
- foil 142, 345
- forging / multi-pass coin 365
- formation / Langmuir - Blodgett film 335
- / self-assembled monolayer 135
- fractionation / field flow 92
- FTIR 319
- fullerene 344
- / endohedral
- functionalization / surface 343

G

- grapheme 60
- graphite 61
- graphioepitaxy 62
- grinding 103
- growth / nanotemplated 76
- / Stranski - Krastanow 178

I

- ICP 13
- ICP-MS 171
- implantation / ion 137
- imprinting 324
- intercalation 138
- interconnect / nanoscale electric 348
- interconnect / nanoscale 348
- interferometry / dual polarization 139

L

- layer 351
- / nanostructured 352
- LbL 78
- LbL deposition 81
- LEEM 186
- lithography 148

- / block copolymer 149
- / colloidal crystal template 156
- / deep ultraviolet 341
- / electron-beam 151
- / extreme ultraviolet 339
- / focused ion-beam 155
- / interference 153
- / ion projection 154
- / nano-imprint 157
- / natural 150
- / optical 338
- / plasmonic 158
- / soft 159
- / 3D 161
- / x-ray 160
- luminescence

M

- material /nanoporous 170
 - / nanostructured 169
- membrane 175
